# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

14 მარტი
ხუთშაბათი
2024 წელი
№11 (9325)
ფასი 40 თეთრი


## მთავრობის სხდომის დღიური



**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ მთავრობის სხდომა მინისტრთა კაბინეტსა და მთავრობის ადმინისტრაციაში განხორციელებულ საკადრო ცვლილებებზე საუბრით დაიწყო. მთავრობის მეთაურმა ახლად დანიშნული კადრების პროფესიონალიზმს გაუსვა ხაზი და მათ წარმატებები უსურვა.**

**ირაკლი კობახიძე** სხდომაზე ასევე გამოეხმაურა მძიმე დანაშაულებში ბრალდებული ზურაბ ადეიშვილის ბრიუსელსა და ბერლინში ვიზიტებს, აგრეთვე აღნიშნა, რომ ეს შეშფოთებას იწვევს.

პრემიერმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს ურყევი სოლიდარობა უკრაინისადმი და იმედი გამოთქვა, რომ უკრაინის ხელისუფლება გადახედავს იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიიღო მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, მათ შორის - ქართულ მხარეს გადმოსცემენ უმძიმეს დანაშაულებში მხილებულ პირებს.

პრემიერ-მინისტრმა ძალოვან უწყებებს მიმართა, რომ ქვეყანაში ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ უფრო ეფექტიანი ბრძოლისთვის ერთიანი, განახლებული გეგმა შემუშავდეს. ირაკლი კობახიძის შეფასებით, დაუშვებელია ნებისმიერი ლოიალური დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ - მომხმარებლებს სჭირდებათ ზრუნვა, თუმცა რეალიზატორებთან საჭიროა მაქსიმალური სიმკაცრე.

მთავრობის მეთაური დღევანდელ სხდომაზე ხე-ტყის უკანონო ჭრის საკითხსაც შეეხო და აღნიშნა, რომ უნდა შემუშავდეს ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში, რომელთა საფუძველზეც სასჯელები გამკაცრდება.

კიდევ ერთი საკითხი, რასაც ირაკლი კობახიძე გამოეხმაურა, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ანაზღაურებადი სტაჟირება იყო. პრემიერის თქმით, სისტემის მაქსიმალური ეფექტიანობისთვის სტუდენტებსა და ახალგაზრდებთან ფართო კონსულტაციები დაიწყება.

## საკადრო ცვლილებები მთავრობაში

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ მინისტრთა კაბინეტსა და მთავრობის ადმინისტრაციაში განხორციელებულ საკადრო ცვლილებებზე ისაუბრა.**

**მთავრობის მეთაურმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრად მიხეილ სარჯველაძე დანიშნა.**



მთავრობის ადმინისტრაციას **ლევან ჟორჟოლიანი** უხელმძღვანელებს; მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტს - **ნიკოლოზ ტყემალაძე**; პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენლად რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში დაინიშნა **გიორგი ქაჯაია**, ხოლო პრემიერ-მინისტრის მრჩევლად - **ზურაბ აბაშიძე**.

## მადლობა გადაუხადეს გაწეული ღვაწლისათვის

**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით, ბორჯომში მცხოვრებ საპატიო მოქალაქე ქალბატონებს 8 მარტი - ქალთა საერთაშორისო დღე, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა**, საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით ზაალიშვილმა**, მერის მოადგილემ **გიორგი ტაბატაძემ**, ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარემ **ლევან თედიაშვილმა** და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა მიულოცეს.

მათ ბორჯომელ საპატიო მოქალაქეებს გაწეული ღვაწლისათვის მადლობა გადაუხადეს და სიმბოლური საჩუქრები და „მეგატექნიკის" ვაუჩერები გადასცეს.









### აქტუალური ინტერვიუ

## ჩემი პოლიტიკური არჩევანი ემსახურება ქვეყნის სტაბილურ განვითარებას და ევროპულ მომავალს

**გაზეთი „ბორჯომის" ახალი რუბრიკის - „პოლიტიკური არჩევანი" სტუმარი გახლავთ ბორჯომის მაჟორიტარი დეპუტატი პარლამენტში ბატონი ანტონ ობოლაშვილი.**



**ბატონო ანტონ, გვითხარით, როგორია თქვენი პოლიტიკური არჩევანი?**

- ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო".

**მოგვიყვანეთ, მინიმუმ სამი არგუმენტი ჩვენი მკითხველისთვის, თუ რატომ არის ახალციხის, ადიგენის, ბორჯომისა და ასპინძის მაჟორიტარი დეპუტატის არჩევანი სწორი გადაწყვეტილება?**

- ქართული ოცნების მიერ გატარებული დაბალანსებული პოლიტიკა, საქართველოს მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინება, ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურობა, საბიუჯეტო ასიგნებების გამჭვირვალედ და ეფექტიანად მართვა.

**გთხოვთ, გაიხსენოთ წინასაარჩევნო პერიოდში მომხდარი ფაქტი, რომელმაც თქვენზე დადებითი ემოცია დატოვა?**

- ცალკეული ფაქტების გამოყოფა გამიჭირდება, რადგან ყველა წინასაარჩევნო შეხვედრაზე იგრძნობოდა მოსახლეობის დადებითი განწყობა და მათ მიერ ჩემს მიმართ გამოცხადებული ნდობა, განვითარების და უკეთესი მომავლის იმედი, წინსვლის სურვილი და მტკიცე პატრიოტიზმი.

**თქვენი პოლიტიკური გამოცდილებიდან, ყველაზე უარყოფითი ამბავი, რომელიც ყოველთვის გახსოვთ?**

- ფარას კანონი - რომელიც მოიცავდა მეტ გამჭვირვალობას, მოსახლეობისთვის. მინდა ორიოდე სიტყვით განვმარტო ზოგადად, რას მოიაზრებდა ზემოხსენებული კანონპროექტი. ფარას კანონი აქტიურია ამერიკის შეერთებულ შტატებში და ეს არის ბერკეტი ამერიკული დემოკრატიის მთლიანობის დასაცავად. პოლიტიკურ ჭრილში არსებული თითოეული ქმედება, რომელიც დაორგანიზებულია უცხოური მთავრობების მიერ და მიმართულია ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, კანონმდებლობაზე დემოკრატიული პროცესებსა თუ საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოსახდენად კანონიერია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მკაფიოდ გამჭვირვალეა. კანონი, უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტი, რომელიც თავდაპირველად 1938 წელს ამოქმედდა და ცნობილია, როგორც ფარას კანონი, ეხმარება ამერიკელ ხალხს და მათ არჩეულ ოფიციალურ პირებს, იცოდნენ თუ ვინ დგას სინამდვილეში ასეთი გავლენის უკან. ფარას კანონი სრულიად გამჭვირვალეს ხდის ასეთი სახის ლობირებას, იქნება ეს უცხოური მთავრობა, პოლიტიკური პარტია თუ არასამთავრობო ორგანიზაცია, გამჭვირვალეა მათი დაფინანსების წყაროები, სამოქმედო გეგმა და მოქმედების მიზანი. ამასთან დაკავშირებით უარყოფითად მახსენდება ამ კანონპროექტს მოყოლილი გაურკვევლობა, რომელიც საზოგადოებაზე უსიამოვნოდ აისახა და მოჰყვა აჟიოტაჟი, მაგრამ რადგან ჩვენი ხელისუფლებისთვის მოსახლეობის აზრი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, საბოლოო გადაწყვეტილებაც ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე იქნა მიღებული და კანონპროექტის გაწვევა მოხდა. მაგალითისთვის გეტყვით, რომ ჩემი ოჯახის ცხოვრება 2020 წლიდან, რაც პოლიტიკურ საქმიანობაში ჩავები სრულიად გამჭვირვალეა და მე ეს არაფერში არ მიშლის ხელს, ვცხოვრობ იგივე ცხოვრებისეული პრინციპებით, როგორც მანამდე ვცხოვრობდი, ასევე იქნებოდა მათთვისაც ვისაც შეეხებოდა ეს კანონი, მხოლოდ მათ შესახებ ჩვენი საზოგადოება უფრო მეტ ინფორმაციას მიიღებდა.

**როგორია თქვენთვის მისაღები პოლიტიკა და როგორი უნდა იყოს კარგი პოლიტიკოსი?**

- სამშობლოს სიყვარულით და ერთგულებით გამსჭვალული, ქვეყნის ინტერესების დამცველი. მე როგორც მაჟორიტარი, ასევე ვარ ჩემი რეგიონის ინტერესების დამცველი, გულწრფელი, მუდმივ კავშირში მოსახლეობასთან და გქონდეს თბილი და სიყვარულით გაჯერებული ურთიერთობა თანამოქალაქეებთან, რაც დაგეხმარება სწორი ინფორმაციის მიღებაში და შესაბამისად სწორი ღონისძიებების გატარებაში.

**როგორ საქართველოში ისურვებდით ეცხოვრათ თქვენს შვილებს?**

- დღეს არსებული დაბალანსებული პოლიტიკა სწორად განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის მომავალს. პოლიტიკა, რომელიც დაფუძნებულია მშვიდობაზე, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, ადამიანის უფლებების დაცვაზე და ევროპულ მომავალზე. სწორედ ეს გზა მიგვიყვანს ისეთ საქართველომდე, სადაც ვისურვებდი ცხოვრებას შვილებთან ერთად.

**თქვენი სპეციალობა და სამუშაო გამოცდილება:**

- განათლებით ეკონომისტი ვარ, 2020 წლამდე ვიყავი ბიზნესით დაკავებული, ხოლო 2020 წლიდან ვარ ახალციხის, ადიგენის, ბორჯომისა და ასპინძის მეათე მოწვევის მაჟორიტარი პარლამენტის წევრი.

**რამდენი წელია პოლიტიკურ პროცესებში იღებთ მონაწილეობას, მნიშვნელოვანი გამოცდილება, რომელიც წლებმა დაგიგროვათ?**

- 2020 წლიდან ვდგავარ ქვეყნის სამსახურში. თითოეული შეხვედრა ჩემს ამომრჩევლებთან არის ყოველდღიური გამოცდილება, რაც მაძლევს მეტ სტიმულს ვიშრომო ჩემს გუნდთან ერთად ჩვენი რეგიონის და ქვეყნის მეტი განვითარებისათვის, დავუდგე თითოეულ ჩვენს თანამოქალაქეს გვერდში, ჩემი წვლილი შევიტანო თითოეული მოქალაქის, საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარებაში. ხალხთან ურთიერთობა გასწავლის ქვეყნისა და საერთო მომავლისთვის ზრუნვას. დადებითია ყველა ის ემოცია, რაც მოაქვს ჩვენი გუნდის ეფექტურ მუშაობას.

**მადლობა საინტერესო საუბრისათვის.**

ესაუბრა **იზა იანვარაშვილი**

## სითბოთი და სიყვარულით სავსე საღამო ქალბატონებს



**მარტის თვე ხომ დედებისა და ქალბატონებისათვის გამორჩეული თვეა და თითოეული ჩვენგანი თავისებურად ცდილობს, რომ მათ უდიდესი სიყვარული და სითბო გავუნაწილოთ. ამ მხრივ არც ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი აღმოჩნდა გამონაკლისი და დედებსა და ქალბატონებს შესანიშნავი ღონისძიება მიუძღვნა.**

ღონისძიება საოცარი სითბოთი და სიყვარულით იყო გაჟღენთილი, რადგანაც მასში, ბორჯომელთათვის უსაყვარლესი დედები და ქალბატონები მონაწილეობდნენ. საღამო განსაკუთრებული ნომრებით იყო დატვირთული.

შვილებთან ერთად მუსიკალური ნომრები შეასრულეს **ნათია სოლოღაშვილმა** და **თინათინ მუხურაძემ**.

**ნინო მდივნიშვილმა**, ანსამბლ ,,ფერხისის" ქორეოგრაფმა შვილთან ერთად შესანიშნავი ცეკვა მიუძღვნა დამსწრე საზოგადოებას.

ღონისძიების მონაწილეებმა ყვავილები გადასცეს დამსწრე ქალბატონებს, დედებს. ღონისძიების დასასრულს კი ჩატარდა გათამაშება, რომლის საშუალებითაც დარბაზიდან გამოვლინდა სამი გამარჯვებული და ღონისძიებებზე დასასწრები ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ფერი ბილეთები გადაეცათ.

ღონისძიებაში ასევე მონაწილეობდნენ: ბორჯომის სახალხო თეატრის მსახიობები, საესტრადო სტუდია „ნიბლია", თეატრ-სტუდია „ვოდევილის" მსახიობები, ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,ფერხისი", თანამედროვე და სპორტული ცეკვების ჯგუფი „სილუეტი", ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი", **მედეა ხუჯაძე და ნოდარ მეხრიშვილი.**

**ნატო მელიქიძე**

## ეპარქიას მღვდელმსახური შეემატა

**8 მარტს წმ. იოანე ნათლისმცემელის პატიოსანი თავის პირველად და მეორედ პოვნის დღეს, მაღალყოვლადუსამღვდელოესმა ჭიათურისა და საჩხერის, ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტმა დანიელმა, ბორჯომის წმ. ნიკოლოზის სახელობის საკათედრო ტაძარში, სამეუფეო წირვაზე ბერდიაკონი დანიელი (იოანე მულაძე) აკურთხა მღვდელმონაზვნად. კიდევ ერთი მღვდელმსახური შეემატა ანდეზიტის წმ. გიორგის მამათა მონასტერს.**

გთხოვთ გამოგვეხმაუროთ!

# ჩვენი ქალაქის გულისტკივილი ფრაგმენტებად...

**მინდა, რამდენიმე ისეთ საჭირბოროტო საკითხს შევეხო, რომელიც როგორც მე, თქვენც გაწუხებთ.**

ბორჯომში ბევრი დაკონსერვებული შენობაა, ზოგი მათგანი ფინანსების არარსებობის გამო ვერ აგრძელებს ფუნქციონირებას, ზოგიც, როგორც იურიდიული პირი, უკვე აღარ არსებობს. როგორც ექსპერტები ამბობენ, დაკონსერვებული შენობა მხოლოდ 1-2 წლის განმავლობაშია უსაფრთხო, აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ მისი მდგრადობა ეჭვს იწვევს. თუმცა სხვაგვარი პოზიცია აქვთ საქართველოს მენაშენეთა ასოციაციაში, სადაც ფიქრობენ, რომ ასეთი შენობები დიდი ხნის განმავლობაში უძლებენ დროს. დავუშვათ გაუძლეს, მაგრამ ქალაქის იერსახეს ხომ ამახინჯებენ. ზოგი მათგანი ქალაქის ცენტრალურ ქუჩაში, ან ტურისტულად აქტიურ ზონაში მდებარეობს. დღეს ეს შენობები ქვეწარმავლებისა და მღრნელების ბუდედაა გადაქცეული, მუდმივ ანტისანიტარიაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. აბა, როგორია, უფუნქციოდ დარჩენილი შენობების ბედი დღემდე რომ გაურკვეველია? ზოგი ხომ კერძო მესაკუთრეზეა გასხვისებული, ზოგი სახელმწიფოს ეკუთვნის და ზოგიც ინვესტორების ხელშია. ვინმემ ხომ უნდა აიღოს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა?! დამფინანსებლები მოიძიონ სხვადასხვა დონორ ორგანიზაციებსა თუ ფონდებში, მსხვილ პროექტებს ვინც აფინანსებენ, რომ ეს ათწლეულების პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდეს.

მიმაჩნია, რომ ქალაქში გასარემონტებელი (თუმცა, დღესდღეობით ბევრი შენობა რემონტდება, მთელი ქალაქი ხარაჩოებშია) და მიტოვებული შენობები არ უნდა იყოს.

**რამდენიმეს ჩამოვთვლი**: მთის ხეობის მინერალური წყლის პავილიონი, როგორი ხავსმოდებული და პირდაფჩენილი იმზირება საბრალოდ... ან თავად, ყოფილი სანატორიუმი „მთის ხეობა", შიგნით შესვლა შიშის ზარს რომ მოგგვრის. შარშან, შემოდგომით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან დავალებულ ჩემს აღსაწერ ტერიტორიებში ეს ობიექტიც შედიოდა და მსგავსი მდგომარეობა თუ დამხვდებოდა ვერ ვიფიქრებდი. 380 ოთახიდან მხოლოდ 60 ოთახია დაკავებული, დანარჩენი უმრავლესობა მუდმივად



გამოკეტილია, ან გაყიდულია. როგორ მინდა, ზოგჯერ, მეხსიერებიდანაც კი გაქრეს და ამოიშალოს ბოლო ათწლეულების მანძილზე დაცემული, მთლად წასაქცევად გამზადებული შენობები.

ახლა ,,მთის ხეობიდან" ცოტა ჩავიაროთ, გავივაკოთ და იქვე მტკვრის სანაპიროზე დაუსრულებელ „პატარა უგემოვნობას" გადავაწყდებით (სხვა სახელს რომ ვერ ვუძებნი), რომ ვერ გავარკვიეთ, რას უნდა ეფუნქციონირა ამ შენობაში და რატომ გაყინეს (ალბათ, ფოსტის მშენებარე შენობაა).

კიდევ... კოსტავას პარკის პატარა კინოდარბაზი, სადაც გადაჭედილი მაყურებლისთვის კინოსეანსები იმართებოდა,.. მინწყლების პარკში „კურზალი", რომელიც ხალხმა უკვე ტკბილ მოგონებებს გადასცა მჩქეფარე მცხოვრებლებიანად და მრავალი ლიტერატურულ-არტისტული სიჭრელით... თავისი საღამოებით, კონცერტებითა და კარგად მოვლილი პარკით.

კიდევ უფრო ზემოთ, ყოფილი ,,ჭადრაკის შენობა" ან თუნდაც, დავას შეწირული „კომპოზიტორთა სახლი", ისტორიული, უნიკალური შენობა, რომელიც კომპოზიტორთა კავშირს წლებია აღარ ეკუთვნის, გაიყიდა, ვინ და რას აშენებს, აქამდე არ იციან. ცრემლი მოგერევა... დამსვენებლის ჟრიამულით და მუსიკის ჰანგებით მოფენილი, ნაძვებთან ერთად ლამაზად მსუნთქავი გაპარტახებული და ეული, შენობის ხილვით. პლატოზე უფუნქციოდ დგას ყოფილი ტურბაზაც.

**ქალაქის** ცალკე სატკივარია - დანაგვიანებული ქუჩები... ამ პრობლემის წარმოშობაზე პასუხისმგებლები ხომ ადამიანები არიან... ვერ იაზრებენ, დაუდევრობის გამო, ჩვევად ნაქცევს და არასწორად აფასებენ საკუთარი მავნე ქმედებით გარემოს დაბინძურების უარყოფით შედეგებს. მიაჩნიათ, რომ მათი ქცევა, როგორც ცალკეული პირების ქცევა, გავლენას არ ახდენს საერთო სურათზე. ჩვენს ქალაქში ხომ ბევრი ფეხით მოსიარულენი ვართ და ქუჩებში ხშირად ვაწყდებით სიგარეტის ნამწვებს, მზესუმზირის ჩენჩეობეს, ცარიელ ბოთლებსა და სხვადასხვას ,,ასორტიმენტის" ნაგავს. რატომ მიაჩნიათ, რომ მათ მიერ დაყრილი ნაგავი სხვამ უნდა აკრიფოს?! ამ დაბინძურების მთელი ტვირთი დასუფთავების სამსახურსა და სახელმწიფოს აწვება. დღევანდელ რეალობაში საზოგადოებრივ ადგილებზე ზრუნვის პასუხისმგებლობის ნაკლებობა ან სრული არქონა მნიშვნელოვანი პრობლემაა ამ ქალაქის და არა მარტო, რაც დაბალი შეგნების და უპასუხისმგებლობის შედეგია.

**მინდა** ყურადღება ასევე გავამახვილო უკანონოდ მოპოვებულ ხე-ტყის



პრობლემაზე, მართალია იმ დოზით არა, როგორც ადრე იყო, თუმცა მაინც ვაწყდებით ერთეულ შემთხვევებს. ნუთუ, ადამიანი, ვინც ამას სჩადის, დუმბაძის „ხაზარულა" არ აქვს წაკითხული?.. „ხეს რომ დაველაპარაკე პირველად 14 წლისა ვიყავი" და ეს 14 წლის ბიჭი დაბეჯითებით უმტკიცებს ბებიას და მეზობელ ანანიას, ხეს ეყურება და ხედავს კიდეცო. ამ ნაწარმოების შესწავლის დროს მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვაზე, - ხაზარულამ ერთი ქვევრი ღვინო რომ შეისრუტა, მოკვდა, ამაზე რას იტყვიო, 9 წლის ბავშვი ასე პასუხობს - „ალბათ, ხეს ადამიანივით სიკვდილი მოუნდაო".

**ადამიანისთვის** საჭირო ყველა რესურსის უშრეტ წყაროდ ითვლება ბუნება და თითოეული მოქალაქე ამ რესურსების გააზრებული გამოყენების თანამონაწილე უნდა იყოს. ბუნების უდიდესი მესაიდუმლე, ვაჟა ამბობადა: - „ჩვენ ბუნებაში ვართ, იგი ჩვენშია, ცოცხალნიც მისი ვართ და მკვდარიც". „ბუნება გადაშლილი წიგნია, ამ წიგნის ერთი ყდა ცაა, მეორე კი მიწა და ადამიანებმა მისი კითხვა უნდა ისწავლონ". ბუნებისადმი სიყვარულის აღზრდა ბავშვობიდანვე უნდა დაიწყოს ოჯახში, მერე გაგრძელდეს სკოლაში და ასე... სიცოცხლის ბოლომდე უნდა ეფერებოდეს...

ჩემი აზრით, უნდა შეიქმნას ჯგუფი, რომელიც უნდა წარმოადგენდეს გადარჩენისთვის მებრძოლი გლობალური მოძრაობის ნაწილს, ახალი ეთიკური ნორმით, რომელიც გააერთიანებს ადამიანებს ბუნებასთან, რათა არ მოხდეს სამომავლოდ სიცოცხლის სისტემების კოლაფსი.

**ჩემი ქალაქი** ორი ფერია - წყლისფერი და მწვანე... მის ხმა - ფოთლების შრიალის და ცელქი ნიავის ხმაა... მიყვარს ეს პატარა ზღაპარ-ქალაქი, ნაძვნარის სურნელითა და ჟანგბადით გაჯერებული ჰაერით... მის ქუჩებში მოხეტიალეს ფონად ჩიტების ჭიკჭიკი და სულში ყველა პეპლის ერთად ფარფატი რომ გასდევს...

ჩემო ძვირფასო ბორჯომელობო! მოდით, მეტად შევიყვაროთ ჩვენი ქალაქი, ხელი შევუწყოთ, რომ განვითარდეს სწრაფად და დინამიურად. ის იყოს ერთ-ერთი მოწესრიგებული კურორტი საქართველოში,.. რომ „საჭიროების გარეშე, ფოთოლიც არ მოგვეწყვიტოს", რათა მომავალში ერთ დროს უჩვეულო ოაზისზე არ იწერებოდეს - „იყო და არა იყო რა, იყო ბორჯომის ტყე, ის მდებარეობდა კავკასიის ეკო ცენტრში..."

**ნანა ქეულიშვილი**

# ტიმოთესუბნის ტაძარს რესტავრაცია ჩაუტარდა

**საქართველოს** კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ტიმოთესუბნის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის ექსტერიერის სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები დაასრულა.



შესრულებულ სამუშაოებს გაეცნენ საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი **თეა წულუკიანი**, მინისტრის მოადგილე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორი **ნიკოლოზ აზნაურაშვილი**, საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების რესტავრაციისა და ხელოვნების საბჭოს ხელმძღვანელი მიტროპოლიტი **დავითი-აბბა ალავერდელი**, ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიის ბორჯომ-ბაკურიანის მიტროპოლიტი **დანიელი**, მთავარი არქიტექტორ-რესტავრატორი **ტარიელ კიპაროიძე** და დარგის სპეციალისტები.

2022-2023 წლებში ტაძარში ჩატარდა შემდეგი სამუშაოები: მოიხსნა დროებითი თუნუქის საფარი; მთელ სახურავზე ლორფინი გაიწმინდა ლიქენებისა და მცენარეული საფრისაგან; ლორფინებს შორის არსებული ნაკერები ამოსუფთავდა და ამოიგოზა; ტაძრის ლორფინის სახურავზე დაიგო სპილენძის საფარი, რისთვისაც სრულად შეიფიცრა სახურავის დახრილი სიბრტყეები; შეფიცრულ სახურავზე დამაგრდა ხის ლილვები და ისინი დაიფარა მაღალი ხარისხის სპილენძის ფურცლებით (0,7 მმ), რომლებსაც წინასწარ ჩაუტარდა ექსპერტიზა, ტაძრის ფასადის კედლებს ჩაუტარდა ქვის კონსერვაცია, მოცილდა ცემენტის დუღაბი შუალედებში და ისინი კირდუღაბით ამოიგოზა.

მოცემულ ტაძარზე, ბოლო ათწლეულების განმავლობაში თითქმის ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ტარდებოდა ლორფინის სახურავის გადაწყობა, ამოგოზვა, მაგრამ ტაძარში წყალი კვლავ ჩადიოდა. ამიტომ ძეგლის უკეთ დასაცავად შეირჩა მაღალი ხარისხის სპილენძის მასალა, რაც განაპირობებს ტაძრისა და მისი კედლის მხატვრობის უსაფრთხოებას დიდი ხნის განმავლობაში. ასე რომ, წყლის ჩადინების პრობლემა მოგვარებულია და ძეგლი დაცულია გარემო პირობების ზემოქმედებისაგან. სააგენტოს მთავარი ამოცანა, ერთი მხრივ, იყო სპილენძის ფურცლებქვეშ ისტორიული ლორფინის შენარჩუნება, ხოლო, მეორე მხრივ - წყლის ინფილტრაციისგან ძეგლის დაცვა.

ასევე, აღდგა გუმბათის ყელზე დაზიანებული მოჭიქული დეტალები, ფასადზე მოიხსნა სხვადასხვა პერიოდის ცემენტის ფენა და კირდუღაბით ამოიგოზა ნაპრალები.

ტაძრის რეაბილიტაციის პროექტი, განხორციელების დაწყებამდე, განიხილეს და მოიწონეს კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს ისტორიულ-არქიტექტურული კულტურული მემკვიდრეობის რესტავრაცია-კონსერვაციის სექციისა და საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე.

ტიმოთესუბნის XII-XIII საუკუნეებით დათარიღებული ცენტრალურგუმბათოვანი ეკლესია ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფელ ტიმოთესუბნის მიდამოებში მდებარეობს. ტაძარი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, როგორც არქიტექტურული, ასევე - კედლის მხატვრობის თვალსაზრისით.

ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ტიმოთესუბნის, დასაცავად პროექტის განხორციელება 2022 წლის შემოდგომაზე დაიწყო და 2023 წლის ბოლოს დასრულდა.

# გაწმენდითი სამუშაოები გზებზე

**ბორჯომის მუნიციპალიტეტში საავტომობილო გზებზე, მთაგორიან რეგიონში, ქვათაცვენის ფაქტები განსაკუთრებით შეინიშნება ზამთარში ყინვასა და თოვლის დნობის პერიოდში. 24 საათიანი სამუშაო დროით გზების მოვლა-პატრონობას ფირმა „მშენებელი 2012" უზრუნველყოფს, მათ შორის ქვათაცვენისგან გზების გასუფთავებასაც. გაწმენდითი სამუშაოების ნაწილს თანამშრომლები ფიზიკურად ახორციელებენ, ნაწილს კი შესაბამისი ტექნიკით.**

**ჩვენთან საუბრისას „მშენებელი 2012"-ის დამფუძნებელმა ბატონმა ვახტანგ კაპანაძემ აღნიშნა, რომ უწყვეტად მიმდინარეობს გზებზე არსებული ვითარების შემოწმება. სამაშველო სამსახურიდან შეტყობინების მიღებისთანავე მყისიერად იწმინდება გზა.**

**- არ გქონიათ შემთხვევა გზა ჩაკეტილიყოს, ან ვინმე დაზარალებული იყოს?**

- მოგეხსენებათ, პლატოს გზაზე დიდი რაოდენობით ცვივა ქვა-ღორღი. ჩამოვიდნენ საგზაო დეპარტამენტის წარმომადგენლები და ერთობლივად შევიმუშავეთ გეგმა, პროექტი მზადდება და სამომავლოდ კედელი მოექცევა დამცავ ბადეში.

უახლოეს ხანში მთამსვლელთა სპეციალურ ჯგუფთან ერთად დავიწყებთ გაწმინდეთ სამუშაოებს, რაც მეტ უსაფრთხოებას უკავშირდება მგზავროთა გადაადგილებისას.

აღსანიშნავია, რომ წაღვერი-მიტარბის წლობით დაკეტილი გზა გასულ წელს გავიყვანეთ და უკვე 8 თვეა მოქალაქეები აღნიშნულ მონაკვეთზე უსაფრთხოდ გადაადგილდებიან. ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა.**

ზოგიერთი მოქალაქე მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე ავტომობილს აჩერებს და ჩამოცვენილ ქვებს არა თუ გვერდს უვლიან, არამედ წმენდენ და გზას აგრძელებენ. ისინი დარეკვას ასე მოქცევას ამჯობინებენ. მისაბაძი მაგალითია, მაგრამ ყველა ასე არ იქცევა. ჯარიმებისა და გამკაცრებული კანონმდებლობის მიუხედავად გზებზე ნაგავი ისევ უკონტროლოდ იყრება. ბორჯომიდან-ბაკურიანამდე გზების გაწმენდისას ნაგვის სიმრავლეზე საუბრობდა „მშენებელი 2012"-ს თანამშრომელი, რომელმაც გვითხრა, რომ ბაკურიანიდან უკან დაბრუნებულებს გაწმენდილი გზა ისევ დანაგვიანებული ხვდებათ ხოლმე.

- დაუზარელ და შრომისმოყვარე სპეციალისტების სამუშაოთა მწარმოებლის **ჯამბულ გელაშვილის** ხელმძღვა-



ნელობით **იოსებ გაგლოშვილს, კონსტანტინე მეტრეველს, მალხაზ მაზიაშვილს, ნიკოლოზ ხრიკაძეს** და სხვებს, მინდა მადლობა გამოვუცხადო თითოეულ თანამშრომელს გვერდით დგომისათვის. მადლობა **ავთანდილ სვანიძეს**, რომელიც მუდმივად კოორდინაციას უწევს სამუშაოთა ხარისხიან შესრულებას, **ამასთან მინდა ვისარგებლო თქვენი ჩვენთან ყოფნით და გულწრფელი პატივისცემა გამოვხატო ბორჯომის მუნიციპალიტეტის ქალბატონების მიმართ. მივულოცო დედის დღე და ქალთა საერთაშორისო დღესასწაული, ვუსურვო ბედნიერება, შვილების ღირსეული აღზრდა და სამშობლოს წინსვლაში შესაძლო წვლილის შეტანა. - გვითხრა საუბრის დასასრულს ბატონმა ვახტანგ კაპანაძემ.**

**მოამზადა იზა იანვარაშვილმა**

# დედა, ჩემი ქიმიის მასწავლებელი!

დედაჩემზე ბევრი მაქვს სათქმელი, მადლობა თუ ბოდიში... თვითონ არავისგან არაფერს ითხოვდა. მხოლოდ გასცემდა, უანგაროდ... ზრუნვას, სითბოს, სიყვარულს, ცოდნას...

გულწრფელად ვამბობ, დღემდე არ მინახავს უფრო მშრომელი ადამიანი, მასავით ენერგიული... ჩემი აზრით არასოდეს იღლებოდა...

მისი ცხოვრება შრომა იყო, შრომობდა, შრომობდა ფიზიკურად თუ გონებრივად.

ნიჭიერი, განათლებული, გამოცდილი პედაგოგი გახლდათ. ის მეც მასწავლიდა სკოლაში და სულაც არ ვყოფილვარ მისგან განებივრებული, პირიქით! ყოველთვის მეგონა, რომ დედა იყო ყველა საგნის უბადლო მცოდნე და მაინც, მისი ყოველი დილა იწყებოდა წიგნებით. გავახელდი თვალს და დილის პირველი კადრი იყო დედა წიგნით ხელში. გადაშლილი ჰქონდა ქიმიის წიგნები, კითხულობდა და წერდა. წერდა და კითხულობდა....



ბორჯომის №1 საშუალო სკოლაში სწავლობდა დედა, სადაც ახლა მე ვმუშაობ. თურმე ეთერ აფხაიძე ვაჟთა სკოლაში ბიჭებს ახარბებდა ერთი კაფანდარა გოგოს მათემატიკურ ნიჭს. ხომ კარგები მყავხართ, მაგრამ მისნაირი მაინც არც ერთიო...

მე უკვე ბორჯომში ვცხოვრობდი და მშობლიურ ქალაქში სტუმრად ჩამოსული დედა გაზეთ „ბორჯომის"" ერთ-ერთ იუბილეზე წავიყვანე საკურორტო დარბაზში," პირველი რიგიდან ასაკიანი ქალბატონი ეთერ აფხაიძე გამოენთო, ხელები გაშალა და შეჰყვირა, ამას ვის ვხედავო! მერე იქ მსხდომთ მიუბრუნდა და ხმამაღლა, ყველას გასაგონდად განაცხადა, ხალხო, იცით ეს ჩემი საუკეთესო მოსწავლე იყოო! - ჩაიკრა დედა გულში და მოჰყვა მის ქება-დიდებას. დაიმორცხვა დედამ, რომელიც იმ დროს 60 წლის იყო, მაგრამ თავის მასწავლებლის ისე მოერიდა, თითქოს ისევ სკოლის მოსწავლე ყოფილიყო...

ეს მე ვარ ამაყი მისით თორემ თვითონ? ისეთი მოკრძალებული, ისეთი თავმდაბალი ადამიანი იყო. ყოველთვის ჩრდილში დგომას ამჯობინებდა... ღმერთო, მართლაც როგორი უბრალო იყო ეს დიდი ადამიანი.

მამის გარდაცვალების შემდეგ, მხოლოდ ერთხელ ვნახე დედის თვალზე ცრემლი, ცრემლი, უსიტყვოდ რომ ჩამოსდიოდა სახეზე... დავასაფლავეთ მამა და რამდენიმე დღეში უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები დაიწყო... მივდიოდით გამოცდაზე მამის გარეშე, რომელიც ყოველთვის ჩვენს გვერდით იყო... ახლა კი ასეთ მნიშვნელოვან გამოცდაზე მის გარეშე მივდიოდით მარტონი, ღვთის ანაბარა... და ამოუჯდა დედას გული!

გავახარე მაშინ დედა. მე თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი. თვითონაც იქ სწავლობდა და ეამა მის ნაკვალევზე რომ უნდა მევლო. ეს იყო და ეს, მის მერე მე დედას თვალზე ცრემლი არ მინახავს...

გამაგრდა, გაძლიერდა და ახლა მიკვირს, საიდან მიეცა ეს ძალა. ბებოზე ამბობდა ხოლმე, თავის დედაზე, რომელიც ადრე დაქვრივდა. ეშინოდა ობლებს არ მომიშივდესო და ამ შიშმა დააძლევინა ომისშემდგომი გაჭირვება ისე, რომ არავის ჩამორჩა, პირიქით... მისი სტიმულიც ეს იყო ალბათ. მახსოვდა მისი ნათქვამი სიტყვა, რომ შვილებს არაფერს დააკლებდა და არც არაფერი გვაკლდა..

საიდან, როგორ, რანაირად შეძლო, ვფიქრობ და ახლა მიკვირს, როცა მე თავად ვარ დედა. იგივეს თუ შევძლებდი ნეტა, მაგრამ ვვეჭვობ, მე ვერასდროს ვიქნები მისნაირი!

გახდა, გაილია, დაპატარავდა, მაგრამ სასწაული ენერგია არსად წასულა. კი არ დადიოდა, დაქროდა. გაკვეთილების შემდეგ რამდენიმე ბავშვს ამეცადინებდა და ვენახში გარბოდა. უბრალოდ კი არ უვლიდა, ეფერებოდა, ელოლიავებოდა, ეჩურჩულებოდა მამაჩემის ხელით ჩაყრილ რქაწითელს და გვიან საღამოს ისევ სწრაფი ნაბიჯებით ბრუნდებოდა. მისი შემხედვარეები გაოცებულნი იძახდნენ, აქედან რომ მიდის, ასე სწრაფად გასაგებია, მაგრამ უკან ასეთივე შემართებით როგორ ბრუნდება ეს დაღლილი ქალიო... აბა რა ექნა, მორბოდა, ორი სტუდენტი შვილი ჰყავდა ქალს... და რვეულების გასწორებაც ხომ უნდა მოესწრო!

ერთ წელიწადს კახეთში გვალვა იყო, ცხელი ზაფხული იქ არავის უკვირს, მაგრამ იმ წელს განსაკუთრებით. ვიღაც წინდაუხედავმა ალბათ, სიგარეტის ნამწვავი გადააგდო. მოედო ბალახს ცეცხლი, გადავიდა ვაზებზე და გადაიბუგა მსხმოიარე ვენახები... ატირდნენ კაცები.

თავქუდმოგლეჯილი გაიქცა დედაჩემიც. რას უშველიდა, მაგრამ... იდგა ჩვენი ვენახი, მსხმოიარე, პატარძალივით გადაფურჩქნული გადაბუგულ ვენახებს შორის. ჩამოჯდა დედაჩემი ქვაზე და ატირდა, ამჯერად სიხარულით, რომ გადაურჩა მთელი წლის ნაფერებ-ნალოლიავები, ქმრის დანატოვარი ვაზი, რაშიც აქსოვდა თავის ძვირფას დროს, ენერგიას თუ ემოციას...

რამ გადაარჩინა ვენახი? ისე ჰქონდა დაწკრიალებული იქაურობა. ისე იყო ნიადაგი გასუფთავებული ქვისა და ბალახისგან... ვენახიდან გატანილი ქვები კოხტა ზოლად გასდევდა მიჯნას და არ მიუშვა ქვებმა ცეცხლი ვაზთან... დედაჩემის გულიანი შრომის შედეგი იყო ეს. შეაქეს მაშინ დედა ვაჟკაცებმა, რომელთა ვენახებიც დაიწვა. მამას მეგობრებმაც მოინახულეს, თავიანთი თვალით ნახეს დედაჩემის ნავაჟკაცარი.

მარჯვე ხელით ნაფერები იყო იქაურობა, სიყვარულით და რუდუნებით ნაკეთები საქმე იყო და დაუფასა ღმერთმა ეს ერთგულება.

აქვე სულ ცოტა ხნის წინ განცდილსაც გაგიზიარებთ. თურმე შვილებსაც შეუძლიათ აგიხილონ თვალი, შეგახედონ, მეტიც, შეგაჯახონ მანამდე ვერშეცნობილ რეალობას... ჩემს გოგონას სიცხიან შუბლზე საფენებს ვადებდი, მადლობა დედიო! რამდენჯერ მქონია სიცხე, რამდენჯერ დაუდია დედას შუბლზე ხელი და შენი სიცხე მეო, უთქვამს. არასოდეს მომსვლია აზრად, მადლობა მეთქვა. თითქოს ეს ჩვეულებრივი, დედური საქციელი იყო და ასეც უნდა ყოფილიყო. მეთქვა მადლობა, რა იქნებოდა... იქნებ როგორ ეამებოდა!

დღემდე მომყვება განცდა, რომ მთავარი სათქმელი ვერ ვუთხარი დედას, მადლიერება ვერ გამოვხატე, ვერ შევაქე და ვერ უთხარი, რომ ის საუკეთესო დედა იყო და უპირველესად პიროვნება იყო ღირსეული. მიუხედავად იმისა რომ ავადმყოფობის დროს ხანგრძლივად ვიყავი მის გვერდით და ჩემ ძმასთან ერთად გავინაწილე შვილის ტვირთი, გვაქებდნენ კიდეც ზრუნვისა და დამოკიდებულების გამო დედის მიმართ, მაგრამ მაინც დამაქვს მის სიცოცხლეში ვერნათქვამი სიტყვისა და ბოლომდე ვერ გაკეთებული მადლის სევდა, ამიტომ სანამ დედა ცოცხალია, მოეფერეთ დედებს! მოასწარით და უთხარით, რომ გიყვართ. ნუ ჩათვლით, რომ ის ამას ისედაც ხვდება, რა თქმა უნდა, ხვდება, მაგრამ უთხარით, გაუმეორეთ და ჩაიკარით გულში ისე, თითქოს ეს უკანასკნელი დღე ყოფილიყოს...

იმ დღეს მეგობარმა საჩუქარი უყიდა დედას. როგორ მინდოდა მეც მეყიდა დედისთვის რაღაც, გამეხარებინა, გამენებივრებინა. ვერ მოვასწარი... ამიტომ იჩქარეთ!

...მე ციცინო ჩადუნელზე ვსაუბრობდი. დედაზე, ჩემ ქიმიის მასწავლებელზე. ბორჯომელები, მას ცირას ეძახდნენ! ყოველ დილით, ფაფის დაღმართზე ჩამორბოდა სიცოცხლით სავსე და მინწყლების ჩამომსხმელ ქარხანაში გარბოდა. იქ ქიმიკოსად მუშაობდა. ერთი კოხტა, კაფანდარა ქალი იყო დედაჩემი, რომელმაც საოცარი ძალა გამოავლინა, შეუძლებელი შეძლო შვილებისთვის, ოჯახისთვის, მოსწავლეებისთვის და დარჩა ღირსეულ პიროვნებად, წარმატებაც და განსაცდელებიც ერთნაირი თავმდაბლობით რომ მიიღო ცხოვრებისგან, რითაც სულ ვიამაყებთ!

დაგვიანებული მადლობა მიიღე დედი!

**მაია ორთოიძე,**
**№1 საჯარო სკოლის პედაგოგი.**

# მრავალპროფილური ქალბატონი



**ჯინსები,** უხეში სამხედრო ფეხსაცმელი, კეფასთან შეკრული გრძელი ჭაღარა თმა, ცისფერი თვალები და ხელში სიგარეტი - ეს **მარინა ტაბატაძეა** ცემიდან, რომელიც ბაკურიანის „ნიკორას" ფილიალში მუშაობს და შეუძლებელია თვალში არ მოგხვდეთ. მართალია სამოც წელს გადასცდა, მაგრამ ახალგაზრდული ტანწერწეტაა და ენერგიული მიხვრა-მოხვრა ჯერ არ დაუკარგავს. მოზარდივით მოქნილია და სულ ფუსფუსშია. თუ არ მუშაობს, სიგარეტითა და ყავის ფინჯნით ხელში ყველასთან შეუძლია მეგობრული და აქტიური საუბარი გააბას. გარეგნობა ხომ თვალშისაცემი აქვს, პიროვნულადაც ქარიზმატულია. ხუთი შვილიშვილის ბებიაა, მაგრამ ეს სტატუსი სულ არ უშლის ხელს ნებისმიერ ადგილზე იშრომოს, მითუმეტეს რომ ყველაფერი კარგად გამოსდის. „ნიკორაში" მუშაობა, დაგვა-დასუფთავება, ფანჯრების წმენდა ნამდვილად ყველას შეუძლია და ბანალურადაც მეჩვენება ყველაფერ ამაზე ხაზის გასმა, მაგრამ ჩვენი ყოჩაღი ქალბატონი მათ გარდა ისეთ სერიოზულ საქმეებს ეჭიდება, ბევრ მამაკაცს რომ გაუჭირდება. შემოდგომით ნაჯახით, სოლებით და უროთი ხელდამშვენებული შეშის მპობელად მოევლინა ბევრ ოჯახს. განა იძულებით და წვალებით მუშაობდა, თქვენც არ მომიკვდეთ, სიყვარულით და თან გართობით. ამბობს, რომ ეს საქმე ბავშვობიდან ძალიან უყვარს, მაგრამ იმდენად მრავალფეროვანი პიროვნებაა, რომ ბევრი სხვა რამის გაკეთებაც შეუძლია.

- შეშის პობა ხომ შემიძლია, - გვიყვება მარინა - დაბარვა, გათოხნა, თიბვა, ეზოების დაგვა, სანტექნიკა, სახლის კოსმეტიკური რემონტი, ქსოვა, ქარგვა. გარდა ამისა, მედდა ვარ და 30 წელი საავადმყოფოში ვმუშაობდი. ნემსის გაკეთება ვენაში, კუნთში, გადასხმა - ყველაფერი ვიცი. ვიყავი რენტგენოლაბორანტი. ასევე ვმუშაობდი სასწრაფო გამოძახების ბრიგადაში, ტუბინსტიტუტში, საოპერაციო ბლოკში. სპორტულ თემას რაც შეეხება, ძვირფასად ვთამაშობ მაგიდის ჩოგბურთს, ვსრიალებ ციგურებზე, ვცურავ... შეშის პობა ძალიან მიყვარს, სიამოვნებით ვაკეთებ ამ საქმეს, 10-12 წელია აქტიურად ვაპობ, მერე რა, რომ ქალი ვარ და თანაც ასაკში. იოგის ვარჯიშით ვარ დაკავებული და ეს მაძლევს ძალას. ოცი წლის რომ ვიყავი, მაშინ მირჩია ერთმა ახლობელმა ექიმმა, რადგან ცოტა მსუქანი ვიყავი. იმის შემდეგ ჯანმრთელ დიეტასთან ერთად, აქტიურად ვვარჯიშობ და შედეგიც სახეზეა. თავისუფალ დროს ძალიან მიყვარს დეტექტივების კითხვა. იმიტომ მიმეჩქარება საღამოობით სამსახურის შემდეგ სახლში, რომ ჩემს წიგნებს ჩავუჯდე. თუ ჩემს ქალიშვილთან და შვილიშვილებთან არ ვარ, წიგნებთან ჩაღრმავება ყველაფერს მირჩევნია. მუსიკის გარეშეც ვერ წარმომიდგენია ჩემი თავი - ვუკრავ ფორტეპიანოზე, გიტარაზე... მუსიკის გარეშე მკვდარი ვარ...

მართალია ვაჟკაცურად აპობს შეშას, მაინც ქალია და სხვანაირი, ქალური სიკოხტავით ალაგებს შეშის ნაჭრებს, სვენებ-სვენებით, შესვენებებზე ყავის წრუპვით და საუბრებით აკეთებს საქმეს. ქუჩიდან იმ ეზოებში, სადაც მარინა აპობს შეშას, გაკვირვებული გამვლელები იყურებიან - ჭაღარა, კაფანდარა, სპორტული აღნაგობის ქალი ენერგიულად იქნევს ნაჯახს...

**რუსუდან სხირტლაძე**

# „ქალი სიყვარული და გაზაფხული"

**ინტერვიუს არა, საუბარს უფრო დავარქმევდი ამ შეხვედრას, სასიამოვნოს და თბილს, ქალბატონთან, რომელსაც კარგად ვიცნობ (შორს არც წავსულვარ), იცნობს ბორჯომი და რაღაცნაირად რომ ალამაზებს ბორჯომს - ელზა ხერხეულიძე! მისი ხელოვნების სფეროში მოღვაწეობა 57 წელს ითვლის, თუმცა ჰქონია ინტერვალები ქვეყნიდან გასვლისა, მაგრამ მშობლიურ ქალაქსა და საყვარელ საქმიანობას ისევ რომ უბრუნდებოდა. ეს საქმიანობა კი თოჯინების თეატრში გვახედებს - თეატრში, სადაც სხვა სამყაროა, შენც სხვა რომ ხარ და დამსწრე მაყურებელსაც რომ უმდიდრებ შინაგან სამყაროს...**



**ელზა, თეატრი გვაძლევს საშუალებას მრავალფეროვანი ფანტაზიით ნებისმიერი ტიპის, სტილისა და ჟანრის ღონისძიებას მოვერგოთ. თეატრის გმირები ხომ უბრალოდ თოჯინები არ არიან, ისინი საზოგადოებას გამოხატავენ. თეატრალური მაგიის გასაცოცხლებლად თოჯინები ცოცხლებივით უნდა მოძრაობდნენ, ამისთვის კი მსახიობის ოსტატობით როლზე მორგებაა საჭირო. ისე, გამიგია, „შენს პროფესიასთან რომანი თუ არ გაქვს, საქმე არ გამოვა" - ო. შენ როგორ მოირგე თეატრის სამოსი?!..**

**ელზა:** - სახალხო თეატრის სცენაზე პირველი როლის შესრულების შემდეგ საზოგადოების მოწონება, შემდგომ პატივისცემა და თანდათან დიდი სიყვარული დავიმსახურე. სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა შემდგომ მრავალი წლის მანძილზე ჩემი ხელოვნების სფეროში მოღვაწეობა. მე ვთვლი, რომ კარგად მორგებულიც იყო და გამართლებულიც - იქ ვიყავი, სადაც უნდა ვყოფილიყავი და სადაც მინდოდა ყოფნა.

**- გქონია თუ არა ის განცდა, რომ რაც უფრო მდიდარია ადამიანის პირადი ცხოვრება, მით მეტი სოცოცხლე შეაქვს თავისივე ნათამაშევ პერსონაჟებში?!**

**ელზა: -** გეთანხმები, ეგრეა. მადლობა უფალს, რომ სხვადასხვა უნარებით დამაჯილდოვა, მატერიალური სიმდიდრე მასთან შედარებით არაფერია. 200-მდე როლი მაქვს შესრულებული დრამისა თუ თოჯინების თეატრში და ჩემი მარვალფეროვანი ბუნება იმის საშუალებას მაძლევდა, ხასიათში, სული შთამებერა ამა თუ იმ პერსონაჟისთვის... ისე, მაქსიმალისტი ვარ, ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდებოდი ყველა როლს და ბოლომდე **ვიხარჯებოდი.**

**- მოდი, ისიც ვუთხრათ მკითხველს, ამჟამად, რითი ხარ დაკავებული. ვიცი, რომ რამდენიმე ჰობი ყოველდღიურ საქმიანობად აქციე. გატაცებული ხარ კერვით, ხატვით, პოეზიით... 400-მდე ლექსის ავტორი ხარ უკვე. ამ კუთხით ბევრი არ გიცნობს და რომელიმე შენთვის გამორჩეული, საყვარელი ლექსი მოვიშველიოთ.**

**ელზა: -** გადავწყვიტე დავისვენო სამსახურეობრივი მოვალეობებისგან. აი, მუზას კი, ჯერჯერობით ვერ ვებუტები - წერა და ფერწერა ჩემი ცხოვრების განუყრელ ნაწილად იქცა. ჩემს პოეზიაში სატრფიალო ჟანრი ჭარბობს, ალბათ იმიტომ, რომ მუდამ შეყვარებული ვარ... ზოგჯერ, ერთი ღირებული შედევრიც უკვდავყოფს ადამიანს.

**მე შენთან ღამეს გავათევ,**
**ჯიხვებით ნავალ მთაზედა,..**
**ზეციდან ღმერთი გვწყალობდეს,**
**თრთოდეს სანთელი ქვაზედა...**

**- ოო, სიყვარული - ჩვენი სულის უსასრულობა... ლექსმა მიგვიყვანა მორიგ კითხვამდე... ადამიანი თავისი შეცდომებით, თავისი სისუსტით ვლინდება სიყვარულში, თუმცა ვერანაირი შეცდომა ვერ კლავს სიყვარულს და მისი სიძლიერე ყველა შეცდომას ფარავს. ის ყველაფერზე მეტია! და... „სადაც სიყვარული არ არის, იქ ომია?"...**

**ელზა: -** ნამდვილად ომია! სიყვარული ხომ ბედნიერების ელექსირია, ბედნიერებაში ყველა ის კომპონენტი შედის, რაც ადამიანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამიტომ გიყვარდეთ, გიყვარდეთ, გიყვარდეთ!!!

**- რომელია ის სიტყვა, რომელიც მთელი ცხოვრების მეგზურად გადგება?**

**ელზა: -** მიმტევებლობა. ეს თუ შეგვეძლება, ცხოვრებას თავადაც გავიადვილებთ და გავუადვილებთ სხვასაც. თუმცა, არის კიდევ ასეთი ჯადოსნური სიტყვა - „მადლობა". მადლიერებაც ნიჭია. არ შეიძლება სიკეთისა და კეთილგანწყობის არდანახვა და არდაფასება.

**- რასაც გასცემ ადამიანების მიმართ, იმასვე მიიღებ?**

**ელზა: -** ბუმერანგივით მიბრუნდება ერთიათასად. თუმცა, როცა გავცემ, სანაცვლოდ არაფერს ველოდები, მაგრამ რაღაცნაირად, თავისთავად, უფლის ძალით მოდის.

**- შესაძლებელია სიბერის დამარცხება?**

**ელზა:** - თვითონ ვარ ამის ნათელი მაგალითი. ასაკი მხოლოდ ციფრებია ნამდვილად. გინდა სიბერის დამარცხება? - იყავი პოზიტიური, კაცთმოყვარე, ღიმილი იყოს შენი მთავარი აქსესუარი. როგორც არ უნდა გაგიჭირვოს ცხოვრებამ, ნუ მიეცემი პესიმიზმსა და დეპრესიას. ყველაზე მთავარი - გქონდეს უფლის იმედი! ეს ჩვენ ხელგვეწიფება.

**- ქალის, როგორც მრავალგანზომილებიან კატეგორიად განსაზღვრება და მისი როლი დღევანდელ სამყაროში?**

**ელზა: -** ძირითადი არის ის, რომ ქალები იღებენ თავისთავზე ოჯახის რჩენის ვალდებულებებს. მათ ბუნებრივად ექმნებათ ახალი ასპარეზი, ჩნდება შესაძლებლობები სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური აქტივობებისათვის და ასევე ხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები მათ გენდერულ როლებში.

**- რას მისურვებდი?**

**ელზა:** - პირველ რიგში მადლობა, რომ პირველ რესპოდენტად ჩემზე გააკეთე არჩევანი შენს ახალ ამპლუაში. წარმატებას და ულევ ბედნიერებას გისურვებ. შენ ის გოგონა ხარ, პატარა გულით მზე რომ დააქვს და ყველას თანაბრად უნაწილებს სითბოს და სიყვარულს. მაგრამ სჯობს იმ ლოცვით გამთბარი ლექსის ბწკარებით მოგეფერო, რომელიც გასულ თვეში მოგიძღვენი დიდი სიყვარულით. ჯანმრთელი და ბედნიერი დამიბერდი, რომ მომავალში ყოველთვის სიყვარულით გამიხსენო.

**...პატრა გულით მზე დაგაგქვს,**
**ძნელია მისი შეხება...**
**სიკეთეს ფრთებით შემოსილს**
**სულიც, რომ მშვენიერი გაქვს...**
**აგსრულებოდეს ოცნება,**
**დღეებს რომ ულამაზებ სხვას,**
**სადაც რომ ფეხი დაგედგას**
**ყველგან ვარდები ჰყვაოდეს...**

**- და ბოლოს... „გაზაფხულია, რამე ინატრე..."**

**ელზა: -**
**გაზაფხულს მოაქვს სურნელი**
**ვარდისა... იასამნისა,**
**სურნელი დაშლილ დალალის**
**ბევრი ლამაზი ქალისა...**

ვინატრებდი - მშვიდობა მსოფლიოს! ჯანმრთელობა ყველა სულიერს და სიყვარული სამარადჟამოდ! დაე, გაზაფხულივით მშვენიერი ყოფილიყოს ყოველი დღე თითოეული ჩვენთაგანისათვის!!!

**ნანა კევლიშვილი**

# ვულოცავთ!



ჩვენთვის განსაკუთრებულ და ძალიან საყვარელ, ბუნებით ლამაზ შვილიშვილს **ქეთევან მელქაძეს**.

გულწრფელად და უსაზღვრო სიყვარულით ვულოცავთ დაბადების დღეს, 15 მარტს. ვუსურვებთ დასახული მიზნების, სურვილების შესრულებას, ათოსანთა სიაში მუდმივად ყოფნას, ჯანმრთელობას, ბედნიერ მომავალს, სიხარულს, დიდხანს სიცოცხლეს, სწავლაში წარმატებას.

გვინდა გვჯეროდეს, რომ ჩვენი შვილიშვილი მონდომებული სწავლით მიზანს მიაღწევს.

საკუთარი ლექსით ვულოცავ საიუბილე თარიღს.

დაბადების დღეს გილოცავთ
წრფელი გულით, სულითა,
იცოცხლე და იდღეგრძელე
შენი ნორჩი გულითა.
არავინ არ გვყავს ბადალი
სწავლა-განათლებაში,
გულთბილო და კეთილო,
მუდამ თავაზიანო.
ჭკვიანური მოქმედებით
ყველგან გამორჩეულო,
სწავლაში წარმატებულო,
ტოლ-სწორებში რჩეულო.
ყველა ღონისძიებაში
ყოველთვის აქტიურო,
ორგანიზატორული ნიჭით
მუდამ გამორჩეულო.
ბაბუ, ბებო, შენით ვხარობთ
მუდამ ყველაფერშია,
სიბერეც კი ვერ გვაშინებს,
შენ რომ გვყევხარ გვერდშია.

**სერგო მელიქიძე.**



დიდი პატივისცემით და სიყვარულით ვულოცავთ ქალბატონ **თინა მაისურაძეს** საუკუნოვან იუბილეს. მისი განვლილი ცხოვრება იყო შრომისმოყვარეობის, კეთილსინდისიერების, ოჯახის ერთგულების, სიკეთისა და შვილების ღირსეულად აღზრდის უპირველესი საზრუნავი.

უფალმა დიდხანს აცოცხლოს ღვაწლმოსილი ქალბატონი შვილების, შვილიშვილების და შვილთაშვილების, ნათესავების და ახლობლების გასახარად.

**ვალერი გოგოლაძისა და ინა მაჩიტიძის ოჯახი.**

# ქალებს

დაძმურად გკოცნით ქალებო,
გლოცავთ, გეთაყვანებით,
მრავალ რვა მარტს დასწრებოდეთ
გაბრწყინებული თვალებით.
ბედნიერები იყავით
სახლში, ეზოში, გარეთა,
თქვენს ოჯახებით - ქმარშვილით
იცოცხლეთ, გაიხარეთა.
გისურვებთ მუდამ მშვიდობას,
უღრუბლო ცას – ლურჯ ზეცასა,
სითბოს, სიხარულს, სიყვარულს
ყველა ქალწულს და დედასა.
სიტკბოდ გარდგექმნათ ყოველი,
თუ რამ შეგემთხვეთ მწარედა,
ქვეყანას მოვლინებულნო
დღისით - მზედ, ღამით - მთვარედა.
თქვენით ბრწყინვალებს ქვეყანა,
ღმერთმა გამრავლოთ ყველგანა.

**გურამ ქუნცელი-ივანიძე,**
საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.

## ადამიანები ბორჯომიდან – ისტორია №6

# ბესიკ არბოლიშვილი, მხატვარი

ტილო, ფუნჯი და საღებავის სურნელი, **ბესიკ არბოლიშვილის** ცხოვრებაში ბავშვობიდანვე შემოიჭრა. მამა თეატრის მხატვარი იყო, დედა - მუსიკის მასწავლებელი, ბაბუა - ვასო არბოლიშვილი - ხის ოსტატი. ხელოვნების სიყვარული მათ ოჯახში თაობებს გადაეცემოდა, ახალი ხელწერითა და იდეებით კი, ახალი ისტორია იწერებოდა.






ბავშვობა ბაკურიანში გაატარა, სახლში, რომელიც დღემდე ბევრ საინტერესო ამბავს ინახავს. ეს ადგილი მის შემოქმედებაზეც აისახა. ტილოზე ხშირად სხვადასხვა ემოცია ცოცხლდება, თუმცა, თოვლი ბესიკ არბოლიშვილის ნამუშევრების განუყოფელი ნაწილია, მისი ზამთარი კი, განსაკუთრებულად თბილი და ზღაპრულია. ამბებს, რომლებიც ამ ადგილთან აკავშირებს, ისეთი ემოციებით ჰყვება, რომ თითქოს ტილოზე ფუნჯით ხატავს, მსმენელიც მისი ბავშვობის ბაკურიანში მოგზაურობს და ამ სილამაზეს მხატვრის თვალით დანახული სიზუსტით აღიქვამს.

- ბავშვობაში დედაჩემი ხშირად მიყვებოდა ბაკურიანის სილამაზეზე და ცდილობდა, რომ მეც ასე დამენახა ეს მხარე. როცა მამამ ბაკურიანში პირველად ჩამოიყვანა, გაზაფხული იყო და ტყეში აბრეშუმივით მოედინებოდა გამჭვირვალე წყალი. როცა სასეირნოდ გავდიოდით, მეუბნებოდა - „დააკვირდი როგორ ბრწყინავს ნამი“. ეს ემოციები ჩემს გულსა და მეხსიერებაში ნელ-ნელა იბეჭდებოდა. შეშის კვამლის სუნი, კოხტა გორა, ციგა, თხილამური, მატარებელი და ჩვენი სახლი ბავშვობის ბაკურიანში მაბრუნებს. თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი ის სიყვარულია, რომელიც ამ ადგილთან და ჩემს ნათესავებთან მაკავშირებს. ბაკურიანში ჩამოსვლისას, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სიყვარულში და ამით გული მევსებოდა.

დღეს ბავშვობის სურნელის შეგრძნებით, წარსულის ნოსტალგიით და შემოქმედებითი განწყობით დაუსრულებლად აკვირდება ზამთარს ბაკურიანში, ფიფქებს, რომლებიც თანდათან ფერს იცვლიან, გრძნობს თოვლის სურნელს და შემდეგ ტილოზე ხატავს ზამთარს, თბილს და ზღაპრულს, რომელიც ყველას ბავშვობაში აბრუნებს.

**ნათელა გრიგალაშვილი**

ბაკურიანის საბავშვო ბაღის თანამშრომლები უსამძიმრებენ ქეთევან ჯეირანაშვილს და თედიაშვილების ოჯახს
**ანესტი (ანე) თედიაშვილის**
გარდაცვალების გამო

ბაკურიანის საბავშვო ბაღის თანამშრომლები უსამძიმრებენ შორენა ჯანიაშვილს და ბირკაძეების ოჯახს
**ნუგზარ ბირკაძის**
გარდაცვალების გამო

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იბეჭდება: თბილისი, ე. ბაღდავაძის №20. WWW. colorgroup.ge
borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე

## ინტერვიუ საქართველოს ჩემპიონ თეა რუსიტაშვილთან

# წუთები სწორი სვლისათვის

ვრცელი ინტერვიუ უნდა შემოგთავაზოთ და გაგაცნოთ 11 წლის **თეა რუსიტაშვილი**, რომელიც საქართველოს ჩემპიონი გახდა ჭადრაკში. გოგონა, რომელმაც ცოტა ხნის წინათ ახალციხეში გამართულ ტურნირზე თავისზე უფროს ვაჟებსაც კი სძლია და გამარჯვება მოიპოვა.

**თეა, რამდენი წლის იყავი, როდესაც ჭადრაკის თამაში ისწავლა და შემდეგ თამაში დაიწყო? ვინ იყო შენი პირველი მეტოქე?**

- 8 წლის ვიყავი, როდესაც ჭადრაკის თამაში დავიწყე. ჩემი პირველი მეტოქე იყო მამაჩემი, რომელსაც მალევე მოვუგე და ჭადრაკით დაინტერესების გამო მშობლებმა შემიყვანეს საჭადრაკო კლუბში „ოლიმპიური ჩემპიონი“.

**ემოცია, რომელსაც წარმატების შემდეგ გრძნობ?**

- მოგების შემდეგ ძალიან მიხარია და არ ვიცი, როგორ გამოვხატო. თან ვიცი, რომ მშობლები ბევრ სურვილს შემისრულებენ და ესეც წინასწარ მიხარია.

**დაგვისახელე, რომელია შენთვის საყვარელი საჭადრაკო ფიგურა და რატომ?**

- ჩემი საყვარელი ფიგურაა მხედარი, რადგან მას უნიკალური მანევრირების საშუალება აქვს.

**მოგვიყევი მიღწეული წარმატებების შესახებ? რა არის მთავარი მოტივაცია წარმატებისათვის?**

- წელს, 22 თებერვლიდან 2 მარტამდე ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი 9,11,13,15 წლამდე გოგონებსა და ჭაბუკებს შორის. ტურნირი ტარდებოდა 9 ტურად. ყოველდღე იმართებოდა 1 თამაში, რომელიც საშუალოდ 3-4 საათი გრძელდება. მე ვმონაწილეობდი 11 წლამდე გოგონათა ტურნირში, სადაც ჩემთან ერთად ასევე პირველობისთვის იბრძოდა 20-ზე მეტი უძლიერესი მოჭადრაკე გოგონა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან.

საბოლოოდ 9 თამაშიდან, 6 თამაში მოვიგე, 3 ყაიმით დავამთავრე და დავაგროვე 7,5 ქულა - მოვიპოვე პირველი ადგილი. ჩემთან ერთად თამაშობდა ბარბარე შონია ჩემი მეგობარი და კლასელი, რომელიც ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. (სასიამოვნო შემთხვევაა, რომ პატარა ქალაქში, ერთ სკოლაში და ერთ კლასში სწავლობს საქართველოს ჩემპიონატის ორი პრიზიორი.) ჩემი მთავარი მოტივაცია იყო, გავმხდარიყავი ჩემპიონი, რათა გამეხარებინა ჩემი მშობლები, მასწავლებლები და გულშემატკივრები.

**რა სიხშირით გიწევს ყოველდღიურად ჭადრაკის თამაში? დრო, რომელსაც საჭადრაკო დაფაზე განლაგებული ფიგურების სწორი სვლისთვის გჭირდება?**

- ყოველდღიურად თითქმის 2-3 საათი ვვარჯიშობ ჭადრაკში. ამ ტურნირზე საშუალოდ თითოეული სვლის გასაკეთებლად ვფიქრობდი 5-15 წუთამდე.

**ვაჟებს შორის მეტოქეობა ნიშნავს... გაიხსენე ეს დღე, როგორ სძლიე მათ?**

- 16-18 თებერვალს ჩატარდა სამცხე-ჯავახეთის პირველობა 14 წლამდე გოგონებსა და ჭაბუკებს შორის. ამ ტურნირში გადავწყვიტე ჩემი ძალები გამომეცადა ჭაბუკებს შორის, რადგან ცნობილია, რომ ბიჭები და მითუმეტეს უფროსი ასაკის ბიჭები, ბევრად ძლიერები არიან ვიდრე გოგონები. თან ეს იქნებოდა კარგი ვარჯიში საქართველოს ჩემპიონატის წინ. წინასწარ არ მეგონა, რომ ამ ტურნირის გამარჯვებული გავხდებოდი, მაგრამ მოვინდომე და გავხდი სამცხე-ჯავახეთის ჩემპიონი 14 წლამდე ჭაბუკებს შორის.

**როგორ ფიქრობ, ვინ გყავს ყველაზე დიდი გულშემატკივარი?**

- ჩემი ყველაზე დიდი გულშემატკივრები არიან: ჩემი მშობლები, მწვრთნელები განსაკუთრებით უშანგი ჯანგირაშვილი, ჩემი მასწავლებელი რომელმაც ჭადრაკის თამაშის ნიჭი აღმომიჩინა.

**რაზე ოცნებობს თეოდორა?**

- რომ გავხდე მსოფლიო ჩემპიონი, რათა გავახარო ჩემი ახლობლები და ვასახელო სამშობლო!

**მწვრთნელების მიერ მითითებული სწვლების მიდგომები, რომლებიც გამარჯვებაში გეხმარება არის?**

- ჩემი მწვრთნელი, რომელმაც დიდი ტურნირზე პირველად გამომიყვანა გახლავთ **უშანგი ჯანგირაშვილი**. ის მე ბევრ რჩევას მაძლევს, მამხნევებს და სულ მეუბნება, რომ დაუმარცხებელი არავინ არ არის.

**დავით მაღალაშვილი**, რომელთანაც 6 თვეა ვმეცადინეობ, არის ჭადრაკში საერ-



თაშორისო დიდოსტატი და მრავალი ტურნირის გამარჯვებული საქართველოსა თუ უცხოეთში. გასულ წელს შევიდა საქართველოში საუკეთესო მწვრთნელების სამეულში. მასთან ერთად გავდივარ ჭადრაკის ტაქტიკას და სტრატეგიას, ასევე ყოველი თამაშის წინ ვგევმავთ შესაძლო ვარიანტს და ვემზადებით მოწინააღმდეგის დასამარცხებლად.

**ბორჯომისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება გაქვს, მოგვიყევი, როგორ აღმოჩნდი თბილისიდან საცხოვრებლად ცემში და რა მოგწონს ყველაზე მეტად ჩვენს ქალაქში?**

- მშობლების საქმიანობის გამო გადმოვედით საცხოვრებლად თბილისიდან ბორჯომში. შესაბამისად სწავლა გავაგრძელე ბორჯომის სკოლაში, პარალელურად ჭადრაკსა და მუსიკას ვეუფლები.

ბორჯომში შევიძინე მეგობრები, კიდევ აქ არის ძალიან ლამაზი ბუნება და კარგი ჰაერი, ტურისტებისთვის არის გამოყოფილი ბორჯომის ლამაზი ადგილები, მაგალითად ბორჯომის პარკი. აქ ყველანაირი საშუალებაა უფასოდ ისწავლონ ჭადრაკი, მუსიკა, სპორტის სახეობები, ცეკვა, სიმღერა. აქ ძალიან მომწონს მუსიკალური სკოლა, სადაც ვეუფლები ფორტეპიანოს სპეციალობას, (მასწავლებელი - მარინე რატიანი). აქ არიან ყველაზე კარგი მასწავლებლები, როგორც ფორტეპიანოში ასევე სხვა სპეციალობებში. მადლობა მათ, ყოველი მზრუნველი და ცოდნის მიღებისათვის მნიშვნელოვანი წუთებისთვის. მახარებს, ჩემს მეგობრებთან ურთიერთობა.

**იზა იანვარაშვილი**

# ანიმატორებმა ქალებს ყვავილები გადასცეს



**ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განყოფილების ორგანიზებით 8 მარტს - ქალთა საერთაშორისო დღეს ყვავილების ფორმაში გამოწყობილმა ანიმატორებმა ქალაქში მსვლელობა მოაწყეს. ანიმატორებმა ქუჩაში მოსიარულე ქალებს ყვავილები გადასცეს. მათ საშუალება ჰქონდათ სპეციალურად მოწყობილ ფოტო ჩარჩოში ფოტოები გადაეღოთ.**

# შვილმკვდარ დედებს

დღეს თქვენ გეფერებით დედებო,
რომლებმაც დაკარგეთ შვილები,
ტანჯვით და წვალებით ნაშობი,
მოზრდილები თუ ჩვილები.
რამდენი ხანია თავს ვებრძვი,
და მაინც სათქმელი არ ცხრება,
თქვენს წუხილს გულის-გულს განვიცდი,
ამოვსთქვამ და ალბათ ჩაცხრება.
რა ბანგი დააცხრობს თქვენს ტკივილს,
იოლად არ ხორცდება ჭრილობა,
არ უნდა ყოფილიყო სიკვდილი,
არც მწარე დედა და შვილობა.
მაგრამ რას გაიგებ ბუნების,
თქვენც გერგოთ ღვთისმშობლის იარა,
რომ დედებს უკვდებათ შვილები,
ქვეყნის დაარსებიდან, ზიანად.
თქვენც უნდა გაუძლოთ, რადგანაც,
გაუძლო წმინდანმა მარიამ,
დღეის დღეს ხომ ქრისტე და დედა,
ჩვენს გულში კვლავ ერთად არიან.
ვიცი, რომ მეორე ცხოვრება,
დიდ შვებას, სიხარულს გპირდებათ,
დღეს თქვენი გმირული გაძლება,
სხვა შვილებს სიცოცხლედ ჭირდებათ.
უფალმა გამტკიცოთ ტკივილში
და რწმენით აგივსოთ გულები,
ღვთისმშობლის მაგალითს ედარეთ,
გეპოვოთ თქვენ დაკარგულები.
კვლავ დაგბრუნებოდეთ ხალისი,
თქვენს პირმშოს თან ჰყავდეს მესია,
ამქვეყნად ტკივილს რომ გაუძლოს,
ქალის და დედების წესია.
ბედნიერი ვიქნები თუ ამ ლექსით
ოდნავ მაინც განუგეშებთ.

**იზო სარქისიანი.**